გრიშაშვილის ქ. № 46-ში
განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის მხატვრულ - ისტორიული და არქიტექტურული
კ ვ ლ ე ვ ა

თ ბ ი ლ ი ს ი ვახუშტი ბაგრატიონის *1735* წლის გეგმის მიხედვით შედგება 4 ნაწილისაგან: მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ***კალა, გარეთუბანი*** და *სეიდაბადი;* ხოლო მარცხენა სანაპიროზე ***ავლაბარი*** *(ან "ისანი").* ***კალა*** თავის მხრივ გაყოფილია 2 ნაწილად, რომლიდანაც მცირე ნაწილი უკავია მეტეხის პირდაპირ მდებარე მთავარ ციხესიმაგრეს, რომელიც თავის მხრივ იყოფა 2 ნაწილად: ***ქვედა*** და ***ზედა*** ციხესიმაგრედ. ***ქვედა*** ნაწილში განთავსებული იყო საცხოვრებელი კვარტლები, სადაც შეიძლება მოხვედრილიყავით ორი ჭიშქრით: სამხრეთით – ***"განჯის კარით"*** და დასავლეთით – ეგრეთ წოდებული ***"აბანოს კარით".***

აბანოს კარი - აღმოსავლეთიდან თბილისისკენ მიმავალი განჯის გზა დღევანდელი ***გრიშაშვილის ქუჩის*** ხაზს აჰყვებოდა, შემდეგ ორად იყოფოდა: ერთი ტოტი ლეღვთახევის პირას განლაგებულ ბაღებს უქცევდა მხარს და სამხრეთიდან მიადგებოდა განჯის კარს. გზის მეორე განშტოება დაღმა ჩაყვებოდა ***გრიშაშვილის ქუჩის ხაზს*** და ***აბანოების უბანში*** წავკისის წყალზე გადებული ხიდის მეშვეობით, ქალაქის გალავნის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილ აბანოს კართან მთავრდებოდა. მისი სახელწოდება სწორად იმით აიხსნება, რომ იგი აბანოების უბნისაკენ იყო მიმართული. *აბანოს კარი დაახლოებით ახლანდელი გრიშაშვილის ქუჩის ღერძზე მდებარეობდა.*

კალას უბანს ორი მხრიდან ეკვროდა გარეუბნები: ჩრდილოეთიდან – ***გარეთუბანი*** და აღმოსავლეთიდან – შედარებით მცირე ფართის *სეიდაბადი ("აბანოების უბანი").* მონგოლების შემოსევის შემდეგ, სეიდაბადის დიდი ნაწილი, ოდესღაც მჭიდროდ დასახლებული, დაიფარა ***ვრცელი ბაღებით.*** ბაღები ძირითადად ეკუთვნოდეთ სამეფო ოჯახის წევრებს და მმართველი წრის წარმომადგენლებს.

”სეიდაბადი”, ანუ ***“აბანოების უბანი”*** თბილისის უძველესი ნაწილია. ამ ადგილზე წარმოიშვა პირველი დასახლება, აქ დაირწა თბილისის აკვანი. ამ უბანს და მიმდებარე ტერიტორიას საკუთრივ ***ტფილისს*** უწოდებდნენ, იგი უშუალოდ ემიჯნებოდა ქალაქის ციხეს – კალას. აბანოების უბანში და მის მიმდებარე ***სეიდაბადში*** *(დასახელება გვიანდელია)* შუა საუკუნეებში უმეტესად სპარსელები სახლობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ *“ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არის მით აბანო ექვანი აქ და სხა შესეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს”* და შემდეგ: “... *არიან მსახლობელი ციხის და სეიდაბადს სპარსი მაჰმადიანი”.* ვახუშტი ბაგრატიონი ***აბანოების უბანს სეიდაბადის ერთ ნაწილად წირმოდგვიდგენს.*** პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილ ***1800*** წლის გეგმაზე კი მხოლოდ აბანოების უბანია ნაჩვენები, რადგან ***სეიდაბადის დანარჩენი ტერიტორია*** *ამ დროისთვის* ***დასახლებული აღარა ჩანს და მთლიანად ბაღებითაა დაფარული.***

ვახუშტი ქალაქში ***6 აბანოს*** ითვლიდა. როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებს შეეწირა, რადგან ***1800*** წელს მხოლოდ ***4*** აბანოა ამ უბანში აღნიშნულია. ***1867*** წლის თბილისის გეგმაზე კვლავ ***6*** აბანოა დატანილი.

საკვლევი ტერიტორიიდან არც ისევ შორს იმყოფება ორი ობიექტი გოგირდის წყაროებით. ორივე განლაგებულია ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე, ანუ სანაპიროზე. მათ შორის პირველი - ***ბალნიოლოგიური კურორტი,*** რომელიც უფრო ახლოა აბანოთუბანთან. საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ, გოგირდის წყლის სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე ***1937*** წელს აშენებული იქნა ბალნიოლოგიური კურორტი თავისი სააბაზანო შენობებით, კლასიციზმის სტილის ხერხების გამოყენებით, რომელმაც დაიკავა მთელი კვარტალი *(არქიტექტორები – ი.ჟიტკოვსკი, მ.კალაშნიკოვი და ბ.კარბინი).* ***1962*** წელს იქვე აშენებული იქნა კურორტის ახალი კორპუსი *(არქიტექტორი – ი. ზაალიშვილი).* მეორე ობიექტი – ყოფილი ***თამამშევის აბნო*** *(იხ. ისტორიული რუკები 1844,*

1867, 1898 წწ.), გამლაგებული გორგასლის და იბრაჰიმ ისპანხანლის *(თავდაპირველად – ვორონცოვის შესახვევი, შემდეგ – კომუნალური და მიგვიანებით – გორგასლის მე-4 შესახვევი)* ქუჩების კუთხეში. აბანოს რამდენჯერმე ჩაუტარდა ფასადის რეკონსტრუქცია, ***(1930*** *და* ***1970*** *წლებში).* მათ შორის ბოლო რეკონსტრუქციის ჩატარების მერე შენობა როგორც აბანო აღარ ფუნქციონირებს. სწორად მაშინ აბანოს მთელი შენობა «ჩასმული» იქნა ბეტონის კონსტრუქციებში, რის გამოც მთლიანად დაკარგა მისი «აღმოსავლური» ფასადი. დღეისთვის ამ ობიექტს უტარდება მორიგი რეკონსტრუქცია, რომელიც უბრუნდებს ობიექტს მის თავდაპირველად ფუნქციონალური დანიშნულებას.

საკვლევი ობიექტის ახლოს, ნარიყალას ციხის პირდაპირ, წავკისის წყლის ხევის გასწვრივ აღმართულია ***თაბორის მთა,*** რომელზეც ოდესღაც მდებარეობდა ***თაბორის ციხე.*** თბილისის ციხესიმაგრეები ერთიანდებოდნენ ზედმიწევნით მოფიქრებულ სისტემაში, რომელიც იყენებდა მთაგორიანი რელიეფის თავისებურებებს. ამ სისტემაში მეტად მნიშნელოვანი როლი ენიჭებოდა თაბორის მთაზე განლაგებულ ციხეს *(მთა თრიალეთის ქედის განშტოებაა თბილისის სამხრეთით).* ციხე ფორტიფიკაციული სისტემის ფორპოსტი იყო აღმოსავლეთის მხრიდნ, საიდანაც ტრადიციულად ესხმოდნენ ქალაქს მტრები. იგი «დაკიდული» იყო განჯის გზის თავზე უშუალოდ კალას სიახლოვეს. თაბორის ციხე თავისი არსებობის გრძელ მანძილზე არაერთხელ დანგრეულა და კვლავ აღდგენილა. მის არსებობას «ქართლის ცხოვრება» მოწმობს. უკანასკნელად თაბორის ციხე დაანგრია აღა-მაჰმად-ხანმა და მას შემდეგ იგი აღარ განუახლებიათ. პორუჩიკ ჩუიკოს შეუსწრია მისი ნანგრევებისათვის და დაუტანია თბილისი ***1800*** წლის გეგმაზე : «□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□ □□□□□-□□□□». ”ყორჩი-კალა” დატანილია თბილისის ***1809*** წლის გეგმაზე და გვიანდელ გეგმებზე იგი აღარ ჩანს.

ციხეში ეკლესია მდგარა, რომელსაც “ღვთის ფერისცვალების” სახელით იხსენებდნენ. ამასთან დაკავშირებით თვით თაბორის მთის სახელწოდების წარმოშობა, ისევე, როგორც “მთაწმინდა”

დაკავშირებულია ქრისტიანულ "წმინდა" ადგილებთან. იერუსალიმში, თაბორის მთაზე მომხდარა ქრისტეს ფერისცვალება. აქედან მოდის თბილისის მთის და ციხეში აგებული ეკლესიის სახელები. ციხის ნაშთები უკვე აღარ ჩანს, მაგრამ *1972* წელს არქეოლოგიური ძიებისას მიაკვლიეს ციხის კვალს. დღეს ძველი ეკლესიის კვალის ადგილზე აგებულია ახალი, გუმბათოვანი ეკლესია *(2002-03 წწ.)* და მოქმედებს მონასტერი.

ჩვენს მიერ *საკვლევი ტერიტორია* იმყოფება ისტორიულ რაიონში, რომელიც უკანასკნელ ასწლეულში წნობილია *«ხარფუხის»* სახელწოდებით, იმყოფებოდა თავდაპირველად *VI* თბილისის ადმინისტაციულ უბანში, ხოლო *1924* წლიდან - *V* უბანში, დღეისათვის - *"ძველი თბილისი"-ის* ადმინისტაციულ უბანში და *შედის თბილისის ძეგლის ისტორიულ დაცულ ზონაში.*

ხარფუხი – აბანოების უბანსა და ორტაჭალის შორის, თაბორის მთის ძირში, *XVIII* და *XIX* საუკუნეების მიჯნაზე პატარა სოფელი ჭარმოიშვა. *ადრე სეიდაბადად წოდებული* უბანსაც *XIX* საუკუნიდან ხარფუხი ეწოდა. *XIX* საუკუნის დასაწყისში სოფელში დასახლდნენ ლეკების მიერ დარბეული სოფელს ჭალასყურიდან გადმოხიზნული გლეხები. *1811* წელს ხარფუხი თბილისის მაზრას მიაწერეს. *1819* წელს სამოქალაქო გუბერნატორმა ხოვენმა ოფიციალურად სთხოვნა მთავარ მართებელ გენერალ ერმოლოვს ხარფუხის თბილისთან შემოერთება. იგი ერმოლოვს ატყობინებდა, რომ ხარფუხში თავშესაფარს თხოულობდნენ ბოროთმოქმედნი, სხვადასხვა ჯურის უპასპორტო საეჭვო ხალხი და საქონლით დატვირთული კონტრაბანდისტები. საზღვარგარეთიდან გადმოსულ კონტრაბანდისტებს თვით ხოვენი წასყდომია. ერმოლოვი დაეთანხმა ხოვენის წარდგენას და მისი *1819* წლის 15 მარტის ბრძანებით, *ხარფუხი ოფიციალურად თბილისის ნაწილად* იქცა. ამ დროისთვის ხარფუხის მოსახლეობა სულ **143** კაცს შეადგენდა. მიუხედავად ოფიციალური აქტისა, რამდენიმე ათეული წელი ხარფუხი სოფლად

რჩებოდა და მხოლო ***XX*** საუკუნის ***60-იან*** წლებში მკვიდრდება ცხოვრების ქალაქური წესი და სათანადო განაშენიანება.

> *ამ უბანში თათრების სასაფლაოს სიახლოვეს მცირე ნაგები კედელი თუ საკულტო დანიშნულების ქვა იდგა ხატითურათ. თბილისელების რწმენით, ამ ხატს სურდოს განკურნება შეეძლიო და მასთან სურდოშეკყრილი ბავშვები მოჰყავდათ. იოსებ გრიშაშვილი წერდა: "ხარფუხი (ანუ ხარბუხი) – ძველებურ სომხურ ენაზე სურდოს ნიშნავს. მართლაც ხარფუხის თავზე სოფელ შინდისის გზის დაცაწყისში, ქლდის ქიმზე, დღესაც ჩანს პაწაწა ნაგებობები, რომელსაც "სურდოს ხატს" უწოდებენ. სურდიანი პაციენტი ეხლაც ესტუმრება ხოლმე ამ ხატს. მა ხატს მოყტანს საყმაწვილო ჭინჭილებს, მიამტრევს ხატის წინაშე და ვითომ ამით სურდო უკურნება ხოლმე."*

გრიშაშვილის ქუჩის სიახლოვეს შემაღლებულ ადგილზე დგას აგურით ნაგები და მოლურჯო შორენკეჩით დახურული გუმდათიანი ***წმ. ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია,*** რომელიც ***1853*** წლის არის აშენებული.

საკვლევი ობიექტი და მას ***გარშემო ტერიტორია*** იმყოფება შედარებით დიდ კვარტალში, რომელიც მდებარეობს ტერასულ რელიეფზე და ეშვება მდინარესაკენ ***ვახტანგ გორგასლის*** სახელობის ქუჩაზე *(თავდაპირველად – **ვორონცოვის** ქუჩა).* ამ კვარტლის ტერიტორია ზევიდან საზღვრებს ერთს მხრივ ***გრიშაშვილის*** *(თავდაპირველად **სუპრ-სარკისის** ქუჩა, რათა ზუსთად ამ კვარტლის კუთხეში როდისმე იდგა სომხური წმ. სუპრ-სარკისის ეკლესია, შემდგომში – **ბაგიროვის ქუჩა**)* და იბრაჰიმ ისფახანლის *(თავდაპირველად – **ვორონცოვის შესახვევი**, შემდგომ – **ვახტანგ გორგასლის მე-IV შესახვევი**)* ქუჩები ად მეორე მხრივ ***ფირდოუსის ქუჩა.*** ამ კვარტალში ქვედა მხრიდან იჭრება რამდენივე შესახვევები გორგასლისა და ფაბრიკის დასახელებით.

ტერიტორიიდან ***იშლება თბილისის ერთ-ერთი შესანიშნავი პანორამა.*** შესანიშნავი ვიზუალური აღქმა იქმნება მტკვრის ხეობიდან ამაღლებული ავლაბარი, რომელიც ერწმისს მეტეხის კლდეების და რომლის ლამის "ბუნებრივი" დაგვირგვინება მეტეხის ტაძარი.

უბნის **განაშენიანების** გეგმარებითმა სტრუქტურამ მოგზავრების ჩანახატებით, ისტორიულ რუკებით და საარქივო ფოტო-მასალებით, რთული რელიეფის გამო მოაღწია ჩვენამდე თითქმის შეუცვლელად. ჯერ კიდევ *1844* წლის რუკაზე არასწორი ფორმის კვართალი უკვე დღევანდელი კონტურის სახეს იღებს. მოგვიანებით კვარტალში იჭრება მთელ სიგრძეზე ვორონცოვის ქუჩა და ჩენდება რამოდენიმე შესახვევი. იცვლება თავდაპირველი ქუჩების და შესახვევების დასახელები. *1934* წელს დამთავრდა *ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის* დამუშავება; მის საფუძველს შეადგენდა ქალაქის განვითარების პერსპექტივა, როგორც ინდუსტრიალური,, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრისა, ასევე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძისა. მის საფუძველზე *1933* წელს დაიწყო *მტკვრის სანაპიროს მშენებლობა.* ამ დროს ***ვახთანგ გორგასლის*** ქუჩა, ანუ სანაპირო *(მარჯვენა სანაპირო)* გაშენდა ყოფილ ვორონცოვის ქუჩაზე ორმხრივი განაშენიანებით, რომლიდანაც დარჩება მხოლოდ მარჯვენა მხარე. მთელი განაშენიანება ტერასულია და მისი რელიეფი თანაბარზომიერათ ეშვება მდინარესაკენ. აერო-ფოტო-გადაღებებიდან ჩანს აღნიშნული ***განაშენიანების შედარებით მცირე მასშტაბი.*** პრაკტიკულად ***გამოსაკვლევი ტერიტორიის გარშემო საცხოვრებელი განაშენიანება.*** ისტორიულ რუკებზეც კი აღნიშნულ უბანში მხოლოდ რამდენიმე შენობაა აღნიშნული საზოგადოებრივი დანიშნულების.

საკვლევ ტერიტორიაზე განლაგებულია სამი ცალკე მდგომი სახლი, სამივე ერთი და იგივე მისამართით - *გრიშაშვილის ქუჩა № 46.* შენობები გაერთიანებულია საერთო ეზოთით: ქუჩუს მხარეს სახლებს გააჩნიათ კურდონიერი, ხოლო უკანა მხრიდან – ეზო-ბაღი, რომელიც ტერასულია და ეშვება მდინარე მტკვრის სანაპიროსაკენ. გრიშაშვილის ქუჩის მხრიდან სამივე შენობა გამოყოფილია ქუჩის სავალე ნაწილიდან საყრდენი კედლით, რომელი შესრულებულია ქვის წყობით. სახლების საპარადო ფასადს და ტროტუარს შორის დონის სხვაობა შეადგენს

5,5 მ., ხოლო ტერასის ქვედა ნაწილი ბაღით გრიშაშვილის ქუჩასთან შედარებით ქვევით არის ***20,0 მ.***

*სამივე სახლი აშენებულია საერთო პროექტით **XX** ს. დასაწყისში. შემორჩენილია დოკუმენტი **1929** წლის 8 აპრილის აღნიშნული ტერიტორიის სამ თანაბარ ნაწილად გაყოფის შესახებ ("მამულის გაყოფისა საიფადინს, ვალიას ოჯახვერდოვებსა და მამედ-ალი კულიევს შორის ქ.თბილისის მე-4 კომისარიათში ბაგიროვის ქუჩაზე (ყოფილის სუფრ-სარკისის ქუჩა) № 46".*

სახლების წინ ეზო-კურდონიერში მოხვედრა შეიძლება მარცხნიდან - პანდუსით, მარჯვნიდან – კიბით. სახლებში შესასვლელი განლაგებულია უკანა ეზოს მხრიდან, რომელშიც მოხვედრა შეიძლება სახლების შორის ორი გასასვლელით. ***გრიშაშვილის ქუჩის*** მხრიდან შენობები 1-სართულიანია, ხოლო ***უკანა ეზოდან*** – 2-სართულიანი.

სამივე შენობა სცორკუთხა და აგურითაა ნაშენები. გააჩნიათ ღია აივნები ქვედა ეზოს მხარეს. შუა შენობა რამდენადმე გრძელია სხვა ორ შენობასთან შედარებით. განაპირა შენობები თავისი ფლიგელებით და აივნებით მიმართულია ერთმანეთის მხარეს. საპარადო ფასადებს გააჩნიათ მხოლო ფანჯრის ღიობებით მცირე აგურის დეკორით – სწორკუთხა პილასტრებით, რუსტით და სახურავის პარაპეტით. სამივე შენობის ფასადები ქმნის ერთიან კომპოზიციას. გვერდითი ფასადები ყრუა. შუა შენობის სახურავი – 4-ქანობიანია, ხოლო განაპირა შენობების – 3-კანობიანი. სახურავები დახურულია ბრტყელი კრამიტით. კიბეები და აივნების კონსტრუქციები ხისაა, დღეისათვის ან შემინულია, ან ამოშენებულია.

მეზობელი შენობა მარცვნიდან - ***გრიშაშვილის ქ.№44*** – 1-სართულიანი საცხოვრებელი სახლია მანსარდით, 2-ქანობიანი სახურავით. გადაკეთებულია ან აშენებულია ბოლო 10-წლიულში. მარჯვნიდან ***გრიშაშვილის ქ. №48*** - მდებარეობს გრძელი აგურის შენობა, რომელიც 2-სართულიანია ქუჩის მხარეს, ხოლო 3-სართულიანია შიდა ეზოს

მხრიდან. აშენებულია ***XX*** ს. დასაწყისში. სახლს გააჩნია თაღოვანი შესასვლელი ეზოში. საპარადო და გვერდითი ფასადები აგურისა, მცირე დეკორით, 3-რეზოლიტით, რომელიც მთავრდება ამაღლებული პარაპეტით. შიდა ეზოს ფასადს წარმოადგენს ღია აჟურული ხის აივნები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია თითქმის თავდაპირველი სახით.

საკვლევი უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი რამდენიმე შენობა შედის ***თბილისის ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების სიაში.*** ესენია :

- ***გორგასლის ქუჩა №23*** – აქვს მნიშვნელობა გორგასლის სანაპიროდან საკვლევი უბნის თვალთახედვის თვალსაზრისით. ეს შენობა დგას სხვა 2-სართულიანი სახლების მწყრივში კვარტლის ქვედა კონტურის განაშენიანებაში. ეს შენობები აშენებულია ***XIX*** ს. ბოლოდან ***XX*** ს. დასაწყისამდე და გამოირჩევა მეზობელი სახლებისაგან ფსევდო-ბაროკოს სტილის ნაძერწი რთული ორნამენტებიანი დეკორით, რომელიც არ არი დამახასიათებელი ხარფუხისათვის;

- ***გორგასლის მე-II ჩიხი №3***-ში არსებული სახლი ასევე მდებარეობს საკვლევი უბნის ქვედა ნაწილში, მხოლოდ იმყოფება კვარტლის შუაში და მისი დათვალიერება შეიძლება მხოლოდ ახლოს მისვლით. ეს არის ***XIX*** ს. თბილისისათვის ტიპიური სახლის ნიმუში. კედლები შესრულებულია ქართული აგურითადა და უხეშად გათლილი ქვებით. ამ ***2,5***-სართულიან შენობას გააჩნია განიერი ღია ხის აივნები მძლავრი ხის სვეტებით და რიკულებით და შემორჩენილი მუშარაბის ნაწილებით. მიუხედავათ გვიანდელი მინაშენებისა და გადაკეთებისა ადვილად იკითხება პირველადი ქალაქური არქიტექტურული ძეგლის სახე;

  იბრაჰიმ ისფახანლის ქუჩა №7 მდებარე 2- და 3-სართულიანი სახლი გაშენებულია ციცაბო დაღმართზე, რომლის ფასადი ჩანს სამივე მხრიდან. ზემოთა მხრიდან – ჩიხიდან, შენობა ჩანს

საინტერესო რაკურსით - “□”-ფორმის ღრმა შიდა ეზო ხის აივნებით. საცხოვრებელი სახლის გალესილი ფასადები შემკრულია დეკორირებული მაღალი ზოლურებით – კარნიზების გაყოლებით, ფანჯრის ღიობების გარშემო თავისი ოვალური ზღუდრებით. ბოლო სართულის გარე ფასადებს გააჩნიად ხის მცირე კონსოლური აივნები.

საკვლევი უბნის ახლოს იმყოფება კიდევ რამდენიმე შენობა, რომელთაც გააჩნიათ საინტერესო არქიტექტურული დეტალები, რომლებიც ტიპიურია თბილისის ამ უბნისათვის. აქვეა რამდენიმე ახლად აშენებული საცხოვრებელი შენობაც.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გაჩაღებული ახალი მშენებლობები ამ რაიონში და მთელს ქალაქში იმპულსურ და ქაოტურ მიმართულებას იღებს. პოლიტიკური შეხედულებების ხშირმა და მოკლე-ვადიანმა ცვლილებებმა მიგვიყვანეს სრულ შეუთანხმებლობამდე ახალ მშენებლობებში, არამარტო არქიტექტურულ–გეგმარებითი, არამედ ფუნქციონალური თვალსაზრისითაც. ნაგებობათა აბსურდული მასშტაბის შეუსაბამობა ისტორიულ განაშენიანებასთან მძაფრდება მოცემული რაიონის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ნიშნების სრული იგნორირებით და უკიდურესად უტაქტო დამოკიდებულებით უკვე არსებულ გარემოსთან. შედეგად უბნის თითქმნის ყველა შენობაზე მოხდა ქაოტური არამაშტაბური დაშენებები.

ასეთმა გამოვლინებებმა გააჩნია თავისი დაღი მდებარე სამ შენობაზე ჩვენ საკვლევ უბანში. ასე მაგალითად - მარცხენა სახლი გალესილია ცემენტის ხსნარით, კრამიტი შეცვლილია შიფერით, კურდონიერის მხრიდან გააჩნია 1-სართულიანი მინაშენი, ხოლო უკანა ეზოს მხრიდან მიშენებულია და დაშენებულია მრავალი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, რის გამოც მთლიანად დაკარგულია მათი პირვანდელი სახე.

საინტერესო ის ფაქტი, რომ ადრეულ საარქივო დოკუმენტებში – რუკებში და გრავიურებში *(**XVIII** ს. დასასრული და **XIX** ს. დასაწყისი)* - ხარფუხის ტერიტორია მთლიანად ***დაფარულია ბაღებით***. მოგვიანებით აქ ჩნდება მიმოფანთული პატარა საცხოვრებელი სახლები და ჩანს გოგირდის აბანოს გუმბათები. ***XIX*** ს. მე-2 ნახევარში აქ ჩანს საცხოვრებელი განაშენიანება ქუჩების გასვრივ, ხოლო კვართალების შიგნით ძველებურად რჩება ბაღები. ყველა წნობილ ფოტოსურათებზე დაწყებული ***XIX*** ს. ბოლოდან დღემდე ***დამკვეთის კუთვნილ ტერიტორიაზე*** გარყვევით ჩანს, რომ ***სადაც დღეს არსებული ბაღებია ყოველთვის იყო მხოლოდ ბაღები.***

* * *

თბილისის ძველი გეგმებისა და რუქების მიხედვით, უშუალოდ *საკვლევი ობიექტის მონაკვეთზე, არასოდეს არ იყო რაიმე მნიშვნელოვანი განაშენიანება.* იმიტომ არის საფუძველი შედარებით თავისუფალი შემოქმედებითი მიდგომისა ახალი სტრუქტურის პროექტირებისა, რომელიც აქ შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ კი ფუნქციონალური ოპტიმიზაციის მიზნებისათვის დასჭირდება სამი არსებული საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია *(ან დაშლა-დანგრევა)* და თავისუფალ ტერიტორიაზე *(დღევანდელი ბაღების ადგილზე).*

თუმცა გარშემო ტერიტორიის ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე სავალდებულოა გათვალისწინებული იქნეს შემდგომი რეკომენდაციები ახალი მშენებლობის პროექტირების დროს :

- გამოყენებული იქნეს ტერასული ***რელიეფის*** შესაძლებლობლები – ორგანული ურბანული ჩარევის დროს;
- გამოყენებული იქნეს ტერიტორიის ტრადიციული ***გამწვანება*** და შესაძლებლობის მიხედვით გამრავალფეროვნდეს გამწვანება ხეებით

(«მაღალი» გამწვანებით) -როგორც ხერხი ლანდშაფტის დაპროექტირებისა, ღია ტერასებით და გადასასვლელებით ;

- იმის გამო, რომ ***თანამედროვე მშენებლობაში*** აქტიურად იკიდებს ფეხს ახალი ტექნოლოგიები და აშკარაა „ინტერნაციონალური“, “მინიმალისტური” ან „ჰაი–ტეკ“-ის სტილების გავლენა, ახალი მოცულობის პროექტირებისას სასურველია გათვალისწინებული ქნას სწორედ ეს ტენდენცია, მით უმეტეს, რომ საკვლევი რაიონი ხასიათდება სხვადასხვა არქიტექტურული სტილების ეკლექტიკური გავლენით. ამასთანავე, აუცილებლად უნდა იყოს დაცული ***ისტორიული უბნის განაშენიანების მასშტაბი.***

არქიტექტორი – ***ალა პროზოროვა***

02. 2007 წ.

ბიბლიოგრაფია და საარქივო მასალა:

- ვახტანგ ბერიძე, "**თბილისის ხუროთმოძღვრება – 1801-1917 წლები**" *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960წ.*

- ვახტანგ ცინცაძე, **"თბილისი – ძველი ქალაქის ხუროთმოძღვრება და XIXს. პირველი ნახევრის საცხოვრებელი სახლები,"** *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1958წ.*

- თენგიზ კვირკველია, **"თბილისის არქიტექტურა"**, *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1982წ.*

- თენგიზ კვირკველია, **"ძველთბილისური დასახელებები"**, *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1985წ.*

გამოყენებული ისტორიული რუკები და ფოტოები:

- თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი

დანართი:

- საინვენტარიზაციო გეგმა - **2** ფურცელი

- "მამულის გაყოფის" პროექტი, 1929 წ. – **1** ფურცელი

- ისტორიული საარქივო რუკების ფრაგმენტები და ტოპოგეგმები –**13** ცალი;

- საარქივო ფოტოები და ნახატები - 13 ცალი;

- **ფოტო-ფიქსაცია** – სურათები და განშლები – **40** ცალი;